# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მან.

ფასი 10 მან.

წელიწადი მეექვსე. | კვირა, ღვინობისთვის 24, 1920 | № 130.



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი ჰურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში ლაგერის (ვაგზლის) ქ. № 5.


## ეროვნულ-დემოკრატიული
## პარტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.
მდივნის ნახვა შეიძლება დილის 9—1 საათამდე,

---

ღრმათ დამწუხარებულნი მეუღლე მიტროფან ზაქარიას-ძე და შვილები, თამარა და გიგო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათვის დაუვიწყარი და საყვარელის

ანნა მისყილის-ასული
**უშვერიძის**

უდროოდ გარდაცვალებას რომელიც მოხდა ოქტომბერს 22, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე დილის 11 სათ. და საღამოს 6 საათზე. ბაქოს ქუჩა № 12, საკუთარი სახლი. 1—1 3914

---

ანტონ ივანეს ძე, ელისაბედ დავითის ასული, გიორგი ანტონის-ძე ლიდია ანტონის ასული ნატროშვილები, ელენე ანტონის ასული აბაშიძისა და კოკი აბაშიძე შვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებსა და მეგობრებს, რომ კვირას, 24 ოქტომბერს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის პირველთა ორის—შვილისა, მესამე, მეოთხე და მეხუთესათვის—ძმისა და უკანასკნელის ცოლის ძმისა—კიევის უნივერსიტეტის სტუდენტ. ძვირფასი.

იოსებ (სოსო) ანტონის-ძე
**ნატროშვილის**

სულის მოსახსენებლათ. ამავე დღეს პანაშვიდი გადახდილ იქნება მიცვალებულის საფლავზე სოფ. ზემო მაჩხაანში წმ. გიორგის არმათიონის ეკლესიის გალავანში. 1—1 3213

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

**სეზონი 1920—1921 წლისა**

დღეს, ღვინობისთვის 24 ს
საღამოთი მუშათა წარმოდგენა

**გუშინდელნი** შალვა დადიანისა.

ხუთშაბათს ოქტომბრის 28.

**ირინეს ბედნიერება**
**„დარისპანის გასაჭირი“**

ახალი დეკორაციებით, კოსტიუმებით და მიზან სცენებით.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აღკრძალულია.

---



## ქიმერიონი

ყოველ დღე

გამოვლენ პეტროგრადის, მოსკოვისა და ადგილობრივი არტისტების საუკეთესო ძალები. ყოველ სამ დღეში იცვლება პროგრამა. ორკესტრი **სტუპელის** ხელმძღვანელობით. სამზარეულოს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ბუფეტში მოიპოება საზღვარგარეთისა და ადგილობრივი სასმელები. სადილები 1 საათ., საღამოს 8 საათამდე.

დასაწყისი საღამოს სრულ **8** საათზე.

---

სახელმწ. თეატრი
## ოპერა

24 ოქტომბერს
ჰოფმანის ზღაპრები
25 ოქტომბერს
— სევილიელი დალაქი —
26 ოქტომბერს
კ-ა-რ-მ-ე-ნ-ი
27 ოქტომბერს
აბესალომ და ეთერი
28 ოქტომბერს
მ-ე-ფ-ი-ს ს-ა-რ-ძ-ლ-ო
დასაწყისი სრული საღ. 8საათზე
წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია
ოპერის დირექტორი: ს. ი. ევლახიშვილი.

---

## ქართული კლუბი

ქრისტიან ქალების კავშირთან არსებულ საბავშო წრის სასარგებლოთ
კვირას, ოქტომბრის 24-ს 12 ნ.ხ. სა.თ. შესდგება წარმოდგენა
ბ-ა-ვ-შ-ვ-ე-ბ-ი ს-ა-ღ-ა-მ-ო

1. ფარშევანგის ფრთიანი ყვავები
2. **დივერტისმენტი.**
3. კაპელა დანოვსკის ხელმძღვანელობით.
4. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა

რეჟისორი ე. ი. ტიხანოვი
კონფერინსიე ბიძია ქენია.

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

თანახმად საბჭოს სარეკომენდაციო კომისიის დადგენილებისა ღვინობისთვის 18 ა. წ., ამით აცხადებს, რომ ქალაქში თავისუფალია

მომრიგებელ მოსამართლეთა

ხუთი ადგილი. ვისაც სურს ამ თანამდებობის დაკავება და ამის უფლება აქვთ, თანახმად მომრიგებელ მოსამართლეთა იუსტიციის არსებულ კანონისა, (იხ. № 58, საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წ.) უნდა შემოიტანონ თხოვნა გამგეობაში. 2—83—1

---

## განცხადება

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 4 ნოემბერს, დილის 12 ნახ. საათზედ მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით ხელმეორეთ დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

თბილისის გარნიზონისთვის ერთის წლის ვადით ხორცის და ცხიმის ჩაბარების შესახებ. დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში ბარიათინის ქუჩა, № 10, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდის. 82. 3—1,

---

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

## საბუღალტერო კურსები

სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ღვინობისთვეს, საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12-ს საათამდე პალატის სასკოლო განყოფილებისაგან (ეროვნული საბჭოს ქუჩა, № 11; ყოფილი ფრეილინის ქუჩა). 3—3170—3

---

ცენტრო-ბანკის საბჭოს დადგენილების თანახმად
1920 წლის 14 ნოემბერს, კვირას შუადღის 12 საათზე ბანკის შენობაში, თავისუფლების მოედანი № 3 დანიშნულია ცენტრო ბანკის

## აქციონერთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება

დღიური წესრიგი:
1) ძირითადი თანხის გადიდება;
2) გამგეობის მოხსენებანი მიმდინარე საქმეთა შესახებ.

2—88—1 ცენტრო ბანკის გამგეობა.

---

## ცოდვილი უწყება.

როდესაც გაზეთ „საქართველო“-მ მომარაგების სამინისტროში დაბუდებულ ბოროტებათა წინ აღმდეგ ხმა აღიმაღლა და გაოცებულ საზოგადოებას შემოწმებული ფაქტებით დაუმტკიცა, რომ ამ „უწყების“ მეთაურთა „მოღვაწეობა“ მეტის-მეტად მავნებელია რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის,—ბევრი მოგვცეთ გვისაყვედურებდა ჩვენ, რომ ამ მხილებით ჩვენი გაზეთი მომარაგების ხელმძღვანელების მდგომარეობას ამაგრებს და ამრიგად ხელს უწყობს უთავბოლობისა და ბოროტმოქმედების დამკვიდრებას.

ჩვენც ვიცოდით, რომ დღევანდელს საქართველოში ყველაზე ნაკლებ პატივსცემაში საზოგადოებრივი აზრი არის, რომ ჩვენი კრიტიკით უფრო ვახანგრძლივებთ საზიანო ორგანოთა მოქმედებას, მაგრამ პრესსის მოვალეობას მაინც ვერ ვუღალატეთ და რაც დასაწერი იყო დავწერეთ.

ჩვენი გამოსვლების შემდგომ განვლო საკმაო დრომ და მხოლოდ ეხლა დაბეჯითებით ამბობენ მინისტრ ერაძის აუცილებელ წასვლაზე მომარაგების მინისტრის პოსტიდან. რამ აიძულა ერაძე თავი მიენებებინა იმ თანამდებობისათვის, რომელსაც ის ისევე შეეფერება, როგორც ფურს უნაგირი, ჩვენ არ ვიცით. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით წინაამდეგში, რადგანაც „ერთობის“ ვექილები სულ მუდამ იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ სამინისტროებში „ყველაფერი კეთილად იმყოფება“, ხოლო თუ გაზეთს „საქართველო“-ს ეს კეთილმყოფობა არ მოსწონს, ეს გარემოება მიეწერება გაზეთის სულისკვეთების ურიგო ზრახვებს...

ძალიან სამწუხარო იქნება, უკეთუ ხმები ერაძის წასვლის შესახებ არ გამართლდა! ჩვენ რომ ვცხოვრობდეთ ნამდვილი უფლებრივ სახელმწიფოში და არა ქაოტიურ სოციალ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაშინ ისეთს მოვლენას ადგილი არ ექნებოდა, როდესაც სამინისტროს დამღუპველი მოქმედების ფაქტები შემოწმებული და დადასტურებულია, მაგრამ ამისდა მიუხედავად სამინისტროს ხელმძღვანელი მაინც მაგრად ჩასჭიდებია პორთფელს და ადგილიდან არ იძვრის!

ბევრი ცოდვები მიუძღვის მომარაგების სამინისტროს და ეს ცოდვები თვით შეძენილიც არის და, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობით გარდმოცემულიც. ამ სამინისტროს ტრადეციები ერთობ მყრალია. ეს დაწესებულება თავის წიაღში ატარებს თანამედროვე საქართველოს ყველა უარყოფითი მხარეებს ვერც პერსონაჟების შეცვლამ და ვერც სახელწოდების გადასხვაფერებამ ვერა უშველა რა საქმეს. ამ დაწესებულების ირგვლივ დატრიალებდნენ ყოვლად ბნელი სუბიექტები, რომელნიც მისი შემწეობით სახლაპრო ქონებას იძენდნენ და საზღვარგარედ უმოწყალოდ ანიავებდნენ საქართველოს ხალხის საბადებელს.

თვით დაწესებულება უცნაური ტიპისაა: ვინ შექმნა და ვინ მოაწყო იგი? რომელი კანონმდებლობითი აქტი ამაგრებს მის არსებობას? ვინ ვარიუდობს მომარაგების შტატებს, მათ ჯამაგირებს? აქვს თუ არა მას დაკანონებული სმეტა?

ერაძე შეიძლება წავიდეს, მაგრამ ამით საქმეს არა ეშველებარა. შესაძლებელია მის ადგილზე უფრო ჭკვიანი და მართებული კაცი მიიწვიონ, მაგრამ თუ სამინისტრო კვლავაც ჩაფლული იქნება იმ შემზარავ ქაოსში, რომელმაც ასე მოშხამა საქართველოს ჰაერი, ვერავითარი გენიოსი ცვლილებას ვერ შეიტანს სასურსათო არევდარევაში.

მინისტრი უნდა გამოიცვალოს—ეს მიუცილებელია, მაგრამ ამასთან ერთად ძირიან ფესვიანად უნდა შეიცვალოს სამინისტროს კონსტრუქციაც და მისი სისტემაც.

---

## უკიჰურობა თუ ჯიუტობა?

„ერთობის“ ხელმძღვანელთ ან კითხვა დავიწყებიათ, ან სირცხვილისაგან გაწითლების უნარი დაკარგვიათ.

მთელს რიგ წერილებში, რომლებიც ჩვენმა გაზეთმა უკანასკნელად ეკონომიურ საკითხებს დაუთმო, ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მმართველი პარტიის ეკონომიური პოლიტიკა ყოვლად უვარგისია. ჩვენს კრიტიკაზე „ერთობა“ გვიპასუხებს: ახალს არაფერს ამბობთ პრინციპიალურად, რაც დავის ღირსი იყოსო.

საოცარი პასუხია. როგორ ესმის „ერთობას“ „პრინციპიალურად ახალი შეხედულება“?

ჩვენ ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ საქართველოს ეკონომიური კრიზისი, რომელსაც ჩვენ სამი წლის წინ მოველოდით (იმ დღიდან, რაც მართვა-გამგეობა სოციალისტებს ჩაუვარდა ხელში) და რომელსაც დღეს თვით სოციალ-დემოკრატია აღიარებს, არ შეიძლება მოსპოს არსებულ საზოგადოებრივ პირობებში. ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის პირველად ყოვლისა საჭიროა შეიცვალოს თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც შექმნა სოციალ-დემოკრატიამ. უნდა გაუქმდეს უკეთესი კანონ მდებელი, ვიდრე გვყავს დღეს; უნდა ჩამოერთვას ჰეგემონია იმ პარტიას, რომელიც დღეს უდგას საქართველოს სათავეში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქვეყნის ხსნა. მხოლოდ ამ გზით დამყარდება ისეთი წესები, რომლებიც გაანაყოფიერებენ ადამიანის შრომას და აწევენ ჩვენს ეროვნულ წარმოებას,

# დღე.

კანადის მუშათა კონგრესმა ბოლშევიკების პლატფორმა ერთხმად უარჰყო.

იტალიელი სოციალისტის ტურატის განცხადებით იტალიელი სოციალისტები ბოლშევიკურ პლატფორმას ვერ მიიღებენ.

„ზიბის“ს ცნობით ბოლშევიკებმა ბუხარა აიღეს.

ტიროლის მცხოვრებნი გერმანიასთან შეერთებას თხოულობენ.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი.

მეთაური: ცოდვილი უწყება.
უგნურება თუ ჯიუტობა!
პრესსა:
სპ. კედია: ჩვენი პოლიტიკისთვის სამუსლიმანო საქართველოში.
ფურცლები.
იას. ჯავახიშვილი: ვენიზელოსი.
ისკანდერ მონჯი:დემოკრატი და გლეხი.
ჩვენი კორესპონდენტები: ჭიათურა.

---

განა ეს პრინციპიალურად არ განირჩევა იმ გზიდან, რომელსაც ადგია სოციალ-დემოკრატია?

დღეს ჩვენ სოციალ-დემოკრატიასთან მხოლოდ ერთი რამ გვაქვს იაერთო ორივე ვაღიარებთ, რომ თანამედროვე მდგომარეობა აუტანელია და არ შეიძლება ის კიდევ გაგრძელდეს. მაგრამ აქ თავდება ჩვენი მზგავსება და იწყება სრული ურთიერთი წინააღმდეგობა ყველა საკითხებში:

„ერთობა“ გვაჯერებს, რომ სოციალ-დემოკრატიას არ მიუძღვის არავითარი დანაშაული არსებულ კრიზისში. ჩვენ გვაკვირვებს რომ მმართველი პარტია თავის თავს არ სთვლის პასუხის მგებლად ყველა იმ ჭუკუღმართობაში, რომლის მსხვერპლი შეიქმნა ქვეყანა მისი მართველობის დროს. ჩვენის აზრით ყოველი მთავრობა არამც თუ მხოლოდ ზნეობრივად, იურიდიულადაც პასუხსმგებელია ერის წინაშე ყველაფერში, რაც შეემთხვევა ერს მისი გამგეობის გამო. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თანამედროვე ეკონომიური კრიზისის სიმწვავე შექმნა სოციალ-დემოკრატიამ, და არა „ობიექტიურმა პირობებმა“. საკვირველია, რომ სოციალ-დემოკრატია, თუ რამე კარგი შეგვემთხვა მაშ ნათვე ყურს ტრაბახით გამოგვიჭედს: აი რა კარგი ვქენითო. მაგრამ თუ ხალხს უბედურება დაატყდება თავზე, მაშინათვე გაბამენ გრძელს სიტყვას „ობიექტიურ პირობებზე“.

თანამედროვე ეკონომიური კრიზისის აღიარებიდან ჩვენ ჭეშმარიტს და ერთად ერთს შესაძლებელს ლოღიკურ დასკვნას ვაკეთებთ:

უნდა შეიცვალოს ღვთით საფუძველი თანამედროვე „არა-ნორმალურიმდგომარეობისა. უნდა მოისპოს თვით ძირითადი მიზეზები თანამედროვე არევ-დარევისა.

სოციალ-დემოკრატიული პარტია კი არ სთვლის საჭიროდ ძირითად ცვლილებებს. მას საკმაოდ მიაჩნია პალლიატიური ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. იმის მაგივრად, რომ სერიოზულად დაფიქრდეს თავის მეთოდების შეცვლაზე, რომლებმაც ქვეყანა გაწყვეტის კარამდის მიიყვანა, სოციალ-დემოკრატიას ეს მეთოდები პრინციპიალურად სწორ მეთოდებად მიაჩნია, ოღონდ მისიაზრით მათ მხოლოდ წვრილმანებში უნდა შესწორება და შევსება.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საჭიროა თვით ის წესები მოისპოს, რომლებიც შემოიღო სოციალ დემოკრატიულმა მთავრობამ: ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ქვეყნის სახსენელად შრომის გადიდება და მისი მოწესრიგება.

სოციალ დემოკრატია კი შრომის გადიდებას არ სთვლის საჭიროდ. მისი აზრით, შეიძლება შრომა ძველს ფარგლებში დავტოვოთ. მაშ რამ უნდა გვიშველოს, თუ შრომა არ გავადიდეთ?— ბუნება უხვი გვაქვსო, გვეუბნებიან სოციალ-დემოკრატიის ბელადები.

მაგრამ ბუნება, რომ უხვი გვაქვს, ეს მოცემული ფაქტია. სწორედ ამ ფაქტის ნიადაგზე განვიცდით დღეს ჩვენ ეკონომიურ კრიზისს. მაშ, ბუნების სიუხვეზე ლაპარაკი მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ სოციალ დემოკრატიას არ სურს კრიზისის ნამდვილი საშუალებებით მოსპობა, და ამიტომაც მთელი მისი თათბირი ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე არის მხოლოდ თვალთმაქცობა.

სოციალ-დემოკრატია წინააღმდეგია ცხოვრების განახლებისა. მას უჭირავს დესმმართველობის კვერთხი და, ანგარებით გატაცებულს, არ სურს დათმოს თავისი ბატონობა, თუმცა თვითონვე აღიარებს საქვეყნოთ, რომ მის ბატონობის დროს მთელი ერი საშინელ განსაცდელში ჩავარდა.

ცეცხლი და წყალი არ ეწინააღმდეგებიან ერთ მეორეს უფრო, ვიდრე ჩვენი პოზიცია ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის პოზიციას.

მაშ, რისთვის ლაპარაკობს „ერთობა“, რომ ჩვენ პრინციპიალურად ახალი არაფერი გვითქვამს ისეთი, რაც და ვის ღირსი იყოსო?

არ გვიკვირს „ერთობის“ მსჯელობა: უპრინციპო ადამიანებს ვერ მოვსთხოვთ პრინციპების დაფასებას.

მაგრამ ყველაფერს თავის საზღვარი აქვს. აქვს საზღვარი პრინციპებით და იდეებით თამაშსაც. თუ სოციალ დემოკრატია დღესაც ვერ ამჩნევს თავისი იდეოლოგიის გაკოტრებას უგნურობის გამო, ან არ სურს შეამჩნიოს ეს თავის ჯიუტობის გამო,-ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს: ძალით ჩათრევას ნებით ჩაყოლა სჯობდა...

## ჩვენი პოლიტიკისთვის სამუსლიმანო საქართველოში.

2.

მსოფლიო ომმა გამოაღვიძა ქართველის მიძინებული ეროვნული ძიება. წარმოსდგა შესაძლოება საქართველოს შემოკრებისა და დედა საქართველოც შეუდგა ამ დიად საშვილიშვილო საქმეს. მთელი სამი საუკუნის გაყრისა და ერთმანეთის დავიწყების შემდეგ, დედასაქართველომ, მუსლიმან ქართველებში პირველად მაგარის ხელით ჩამორეკა გაუქმებული ზარები... ზარის ხმებმა მათში განაღვიძეს წინაპართა მიცვალებული სულები და ქრისტიან და მუსლიმან ქართველობამ ჰპოვეს ერთმანეთი. გაიცვანძა გათიშული ეროვნული ნათესაობა და დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების პსიხოლოგიური პროცესსი...

ძნელია იმის თქმა, თუ ვინ უფრო მუშაობდა ამ მიზნის მისაღწევად; მაგრამ ერთი რამ ყველასათვის ცხადია: თუ მუსლიმანი ქართველების გული და გრძნობა დედა საქართველოს მხარეზედ არ იქნებოდა, ჩვენი ყოველი ცდა მარცხით გათავდებოდა. ეს გარემოება ხედვიდან არ უნდა გამორჩეს საქართველოს შეგნებულ მამულიშვილს; ამ გარემოებით უნდა დაფასდეს კიდევაც მუსლიმან ქართველების მუშაობა მთლიანი საქართველოს აღდგენის საქმეში.

მაგრამ დამარცხდა ორი ძმის შეერთებული ბრძოლა და 18 წლის ოთხი ივნისის ხელშეკრულებით ოსმალეთმა საქართველოს ერთიანად მოსწყვიტა მთელი მუსლიმანური ნაწილი. განავლეს სიკვდილის მიჯნა ძმებს შორის! ეს იყო მწარე დღეები ეროვნული ვაების განცდისა ბევრს გულში ჩაუკვდა გაფურჩქვნილი იმედი—გაერთიანებული საქართველოს მომავლობის ხილვის! ამ სასოწარკვეთილების წუთებში,პირველი ბრძოლის ხმა სამუსლიმანო საქართველომ გამოსცა.

დედა საქართველოსთან შეღლების იდეა—იქ მომქმედ ძალად გარდაქმნილიყო და შეგნებული ქართველი მუსლიმანობა ასპარეზზე გამოვიდა.

უკვე ივნისის ექვსს თავს იყრიან აჭარის სოფლის საზოგადოებათა და ქ. ბათომის წარმომადგენლები, ყრილობას თავმჯდომარეობს მემედ ბეგ აბაშიძე. იმართება ბჭობა, თუ როგორ უშველონ საქმეს. სხდომაზედ გადიწყდება, დაარსონ აჭარის განთავისუფლების კომიტეტი და დაიწყონ ენერგიული მუშაობა შინ და გარეთ: კომიტეტს ეძლევა საგანგებო დავალება და სრული უფლება იშუამდგომლოს გერმანიის საიმპერიო მთავრობის წინაშე, ამ საერთაშორისო მდგომარეობის მაშინდელი ბატონის წინაშე, რომ აჭარის ტერიტორია დაუყონებლივ განთავისუფლებულიყო ოსმალთა მხედრობისაგან და აჭარის ხალხს საშუალება მისცემოდა თვით გადაეწყვიტა თავისი ბედი. სიტყვიდან საქმეზე გადადიან. შეგნებული ქართველი მუსლიმანები ხალხში გადიან და ამ აზრებს ქადაგებენ. ხალხში უკვე ნიადაგი აქვს ამ აზრებს და მოძრაობის ხელმძღვანელები საზოგადოების ნდობით იმოსებიან. ოტტომანის ადგილობრივი ხელის უფლება შიშში ვარდება და გადასწყვეტს ეს მოუსვენარი მესვეურები ერთბაშად ხალხს მოაცილოს. მყისვე შეიპყრობენ: მემედ ბეგ აბაშიძეს, სულეიმან ბეგ ბეჟანიძეს, კიკავა ჯემალ ეფენდის, დავით ეფენდი მოლა იუსუფ-ოღლი სიბლაძეს და ლორთქიფანიძე ჰასსან ეფენდი მუფირ ზადეს. რამდენიმე დღის შემდეგ, პატიმრებს ციხიდან გამოიყვანენ, ჩაყრიან გემ „ურლაში“ და ყველას ოსმალეთის შორეულ კუთხეებში დააბნევენ. ამ გარემოებას თვით პატიმრები, გემი „ურლიდან“ აუწყებენ ბერლინში მყოფ საქართველოს დელეგაციას და სთხოვენ მას სათანადო ნაბიჯები გადადგას გერმანიის საიმპერიო მტრების წინაშე. დარჩენილი ამხანაგები აჭარაში მუშაობას განაგრძობენ, ხოლო აჭარის განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელი ჩამოვა ბერლინში, კონტაქტს იჭერს საქართველოს დელეგაციასთან და გერმანიის საიმპერიო მთავრობის წინაშე სათანადო ნაბიჯებს დგამს. თავის მხრივ საქართველოს დელეგაცია ერევა საქმეში და მიწერ მოწერასა და მოლაპარაკებას აწარმოებს ბერლინის მთავრობასთან. ამასობაში ტყვეობიდან გამოიქცევა მემედ-ბეგი აბაშიძე და თავის საყვარელ დედა სამშობლოში ემსახურება თავის საყვარელ იდეას, რომლისთვისაც სდევნიან მასა და მის თანამოაზრეებს. შეგნებული მუსლიმანი ქართველების ასეთი თაოსნობა და მოქმედება იმედს აღვივებს საქართველოს პოლიტიკურ წრეებსა და ფართო საზოგადოებაში. სიმხნევე და იმედიანობა დაიჭერს მოლოდინობისა და გულგრილობის ადგილს; გაწყვეტილი მუშაობა კვლავ იწყება. კვლავ ერთდება საქართველოს გამთელების იდეით ამოძრავებული შეგნებული ქართველი მუსლიმანობა და დედა-ქართველობა. მიუხედავათ ოსმალთა ბატონობის მძვინვარებისა, აჭარაში მაინც გზას იკაფავს დედა საქართველოსთან შეერთების აზრი. ასე გრძელდება, სანამ გერმანია არ დაეცა და აჭარა საქართველოს ანტანტი არ ეწვია.

შეგნებულ მუსლიმანი ქართველების ინიციატივა, ეს მოქმედება და ეს გატაცება და ერთგულება საქართველოს მთლიანობის იდეისადმი, არ უნდა დავივიწყოთ, როდესაც ჩვენს პოლიტიკას ვქმნით.

მაგრამ ბრმაა ჩვენი პოლიტიკა! მას არ აქვს ხედვის სიმაღლე და არც განი. იგი მეწვრილმანის პოლიტიკაა და ძირს უთხრის საქართველოს მომავალ დიდებას, რომელიც უნდა გაიშალოს ეროვნული მუსლიმანობისა და ქრისტიანობის ჰარმონიულ შემოქმედებაში...

სპ. კედია.

# ფურცლები.

## საცოდავი ქალაქი.

(ბინა და იხევ რეკვიზიცია.)

კაცს რომ უბედურება ეწევა შემდეგ „ქვაც აღმართში დაეწევა“.

ასე ემართება საწყალ გორს: ბუნებამ დაანგრია მისი სახლები, გააუბედურა მისი მცხოვრებლები და მშიერ-მწყურვალი გამოჰყარა ცხოვრების დიდ ქუჩაში—ასე მოექცა განაგება ქართლის მშვენიერ გულს!

მაგრამ როგორ მოუარა თავის გაუბედურებულ ქალაქს მისმა მზრუნველმა მთავრობამ?

მან მიუსია მშიერ- მწყურვლსა და უსახლ კარო ხალხს „ამხანაგი“ კომისრები და უბრძანა: „მოუარეთ, განაგეთ და მოაწყვეთ“ ისინი!

და შეუდგნენ „ამხანაგი“. კომისრები „მოვლას“ „მოწყობას“, და აი როგორ განაგებენ ამ საცოდავ ხალხს:

ორ პატარა ოთახში მოთავსებული იყვენ თერძის, ვინმე მიქელიშვილის ოჯახობა; აქვე ასრულებდა ღარიბი თერძი თავის სამუშაოს;

ასე სცხოვრობდა იგი დანგრევამდის და დანგრევის შემდეგაც; მაგრამ ერთს მშვენიერ დღეს გამოცხადენ მის სახლოსნოში „ამხანაგი“ კომისარი თავისი ამალით და გამოუცხადეს, რომ მისი ბინა საჭიროა სამკითხველოსათვის.

და, რასაკვირველია, ღარიბი თერძი წინ ვერ აღუდგებოდა ბრძანების სიძლიერეს: მას ბინას რეკვიზიცია უყვეს.

მაგრამ სად უნდა წავიდეს იგი, სად შეაფაროს თავი?

იმავე ქუჩაზე მოთავსებულია მეორე თერძი, ვინმე ბეფილერი, რომლის მაღაზია დროებით დახურული ყოფილა, რადგან:

თერძი ბეფელერი თბილისის საავადმყოფოში იყო მოთავსებული.

აიღეს და თერძი მიქელიშვილი შეიყვანეს ბეფილერის მაღაზიაში.

მიქელიშვილი აყაყანდა: როგორ, ჩემივე ამხანაგს როგორ წავართვა ბინა, რომ მორჩეს ბეფილერი, რა პასუხი უნდა გავცე მასო?

მაგრამ მიქელიშვილმა მხოლოდ ერთი პასუხი მიიღო!

„ჩვენ ვიცით და ბეფელერმა“!—ალბათ მის სიკვდილს თუ მოელოდნენ!

და მიქელიშვილი დაასახლეს ახალ ბინაზე.

მაგრამ ბეფილერი მორჩა, დაბრუნდა გორში და სრულებით კანონიერად მოითხოვა თავისი ბინის განთავისუფლება.

ქალაქის გამგეობამ განიხილა ბეფელერის თხოვნა და დაადგინა:

„თერძი მიქელიშვილი ვამოსახლებულ იქნეს ბეფელერის ბინიდან, ხოლო ბეფელერი შეიყვანონ თავის ბინაზე“.

დადგენილება, რასაკვირველია დაუყონებლივ იქმა სისრულეში მოყვანილი და თერძი მიქელიშვილი, როგორც სასახლეს, ისევე ასე სწრაფათ გამოასახლეს გარეთ!

და პირდაპირ გარეთ!

მთელი ოჯახი მიქელიშვილისა თავისი ბარგი ბარხანით გაიშალა ბეფელერის სახლის წინ. ერთი კვირის განმავლობაში მთელი ოჯახში ქუჩაში სცხოვრობდა, ვიდრე

ექიმმა არ დაამოწმა, რომ ვაციებულა ბავშვებს სიცხე 40 პროც. აუწევია და თავშესაფარია საჭირო.

მიქელიშვილის ოჯახი რომმელიც თავლაში შეიყვანეს.

### სასამართლო და სამიკიტნო.

მაგრამ ქალაქის გამგეობა ყოველთვის ერთნაირად არა სჯის: აი ერთი მაგალითიც:

გორის სამომრიგებლო სასასართლო და სამაზრო ყრილობა მოთავსებულია თავლაში!

ვინც არ დაიჯერებს, შეუძლია პირადათ შეამოწმოს!

და ეს თავლაც, სახლის პატრონმა თავისი სურვილით დაუთმო სასამართლო დაწესებულებას; მაგრამ ამავე სახლის პატრონის სახლში, მოთავსებულია სამიკიტნო.

გვარდიელ რაზმაძის.

მიუხედავათ იმისა, რომ სამიკიტნო გაჭიმულია შუა 8 ოთახში, ქალაქის გამგეობა მაინც შესაძლებლად სცნობს, რომ

წინ მოთავსებული იყოს სამიკიტნო, ხოლო უკან თავლაში სასამართლო.

ვაშა, გვარდიელ რაზმაძის გავლენას და მოხერხებას!

ლ. სარბიელი.

# პ რ ე ს ს ა.

## ჩვენი მეზობელი საქართველოს პოზიცია.

ამ სათაურით „არაჩის“ 218 ნომრეში ვკითხულობთ: „სომხეთის პოლიტიკური სამხედრო და, ასე გასინჯეთ, ეკონომიური მდგომარეობაც კი ამ ჟამად სულ სხვანაირი იქნებოდა რომ ჩვენ მეზობელ საქართველოს ამიერკავკასიაში ეწარმოებინა უფრო პირდაპირი, სულგრძელი, პროგრესიული და ნაკლებ ნაციონალისტური პოლიტიკა ვიდრე ისეთი რომელსაც იგი აწარმოებს დღიდან თვისი არსებობისა.

საქართველოს დიპლომატები ყოველნაირად ერიდებოდენ და დღემდისაც კი ერიდებიან ბრძოლას ოსმალ-ბოლშევიკურ რეაქციონ. საფრთხეს., რომელი საფრთხეც სამარეს უთხრის არა მხოლოდ სომხის ერს, არამედ მთელ ამიერ კავკასიის დემოკრატიას.

საქართველოში გაბატონებულმა პარტიამ, რომელიც კადნიერდება და მხოლოდ თავის თავსა სთვლის ერთად ერთ სოციალისტურ და ინტერნაციონალურ ორგანიზაციად ამიერ კავკასიაში, თავის პოლიტიკის ერთ ერთ საფუძვლად გაიხადა მეგობრობა და შეთანხმება ოსმალთა ფაშებთან და ბეგებთან. ეს პარტია პოლიტიკურ სიბრძნეთა ჰრაცხს გარეგნულად მაინც დაიჭიროს ნეიტრალიტეტი სომეხ-ოსმალთა ომის მიმართ, რომლის შედეგზედ ძლიერ დაკავშირებულია აგრეთვე ბედი საქართველოსი.

იმის ნაცვლად, რომ სომხის ხალხს დახმარებოდენ ყველაზე უძნელეს აღმოსავლეთ დესპოტიზმთან ბრძოლაში, ქართველი დიპლომატებს ზიზღით და საოცარის სიბეცით თავს არ ანებებდნენ ვითომც ნეიტრალიტეტის დაცვას, რითაც ასე რიგად ხელს უწყობდნენ თურქთა გამარჯვებას, ეს ანტისომხური პოლიტიკა სრულიად გაუგებარია ჩვენთვის, იმიტომ, რომ უსომხეთოთ, თუნდაც სომხეთმა „დიდის“ სახელი მოიხვეჭოს, საქართველო არ შეიძლება უზრუნველ იყოს გარეშე საფრთხისგან. ეს ისეთი აუცილებელი ჭეშმარიტებაა, რომ ქართველ დიპლომატებს აქამდისაც უნდა სცოდნოდათ.

მიუხედავად ამისა საქართველოს საზრუნავი ამ ჟამად მხოლოდ ისაა, რომ ტანჯული სომხეთი გააფუჭნას, მთელი ხალხი გაჰყვლიფოს და მოხერხებულად ისარგებლოს მისი გამწვავებული მდგომარეობით. მაგრამ საქართველოს დიპლომატიას იმდენი სიბრძნე მაინც შესწევს, რომ პირბადეს მარჯვედ იფარებს და ანტისომხურ პოლიტიკას ხშირად მეგობრულ განწყობილებათ ასაღებს. აი ერთი მჭერმეტყველური ფაქტი: როდესაც ჩვენი რკინისგზები შეჩერდნენ ნავთის უქონელობის გამო, ჩვენი დიპლომატის წარმომადგენელი მიჰმართავდა საქართველოს მთავრობას, რომ რამოდენიმე ნაფთი დაეთმოთ სომხებისათვის რკინის გზებზე მოძრაობის აღსადგენად. თანაც დასძენდნენ: ნავთის დაგვიანება პირდაპირი მომაკვდინებელი მახვილის დარტყმა იქნება, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულობის მოსასპობათაო. საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა სულ სამი ცისტერნი გადმოეცა, ესეიგი, მარტო ერთი დღის საგზალი ნავთი. ამ სრულიად მცირე დახმარებამ ქართულ საზოგადოებაზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, ვითომც საქართველოს მიერ დათმობილი ნავთი სომხეთს საშვილიშვილოდ ეყოფოდათ რკინის გზებზე მოძრაობის აღსადგენათ. რომ ასეთი შთაბეჭდილებანი განებნიათ, ჩვენი დიპლომატიური მისია საქართველოში იძულებული გახდა საჯაროთ გამოსულიყო და გამოექვეყნებინა დათმობილ ნავთის რაოდენობა და მისი მნიშვნელობა სომხეთის რკინის გზების აღდგენისათვის. ასეთ ღრმაგ პოლიტიკის მიზანი ადვილად გასაგებია: საქართველოს მთავრობა ამით ჩვენ არსებით დახმარებას მოგვისპობდა და იმავე დროს ამიერ კავკასიისა და მთელი ევროპის დემოკრატიასაც ყურს გამოუჭედავდა, შეხედეთ, რა დახმარებას ვუწევთ ჩვენს მეგობარს და უბედურებაში ჩავარდნილს მეზობელსაო.

ამ სამ წლის განმავლობაში სომხეთმა მრავალი უბედურება ითმინა და არა ერთხელ დარწმუნდა, რომ სომხის ერი განწირულია, იგი მარტოდ მარტო სდგას და უწყალოდ სისხლს ანთხევს აზიის დესპოტთან პირცოფიან ბრძოლაში, თურქთა ფაშებსა და ბეგთა იამქრობაში, რითაც წალეკვა ელის მთელს ამიერ კავკასიის ერებს, მაგრამ მოძმე საქართველოს ხალხი მხოლოდ იმასა ჰფიქრობს, რომ მეზობლის უბედურება თვის და საპედნიეროდ გამოიყენოს. აი რატომაა, რომ სამი წლის მძლავრი განცდის შემდეგ, როდესაც სომხეთის ხალხი ხელახლად წარსდგა საშინლების წინაშე, არ უნდა იტყუებდეს თავის ლამაზ ლამაზი ოცნებითა, ვითომც მეზობელი საქართველო კეთილ განზრახვით პოზიციას დაიჭერს, ვიდრე აქნობამდინ ეკავაო. ეჭვს გარეშეა, იგი, საქართველო,—დღესაც თითს არ განძრევს ჩვენს დასახმარებლად, პირიქით, შეეცდება ჩვენი უბედურებით ისარგებლოს და უკანასკნელი სისხლი ამოგვწუწნოს...

არტაანიდან მოსულ ამბები თითქოს ადასტურებენ ჩვენს ეჭვებს.

სომხეთის ხალხი მუდამ ფხიზლად იქნება სადარაჯოზე გასული და ეცოდინება ერთი რამ: რომ ის მარტოდ მარტოა და მისი ურთგულესი მეგობარი მხოლოდ მისი საკუთარი ძალ ღონეა და მისი შეკავშნული მუშტი“.

ახირებაც თუ გნებავთ სწორედ ამასა ჰქვიან! რამ აღაშფოთა მეზობელი ხალხი? იქნებ იმ გარემოებამ რომ საქართველოს არ ძლუძს ფიზიკურად ჩაერიოს სომხეთ-ოსმალეთის ომში?

რა უფლების ძალით ... ... სომხეთი საქართველოს ამ ... ... გმას? ამხრივ ნუ თუ გაუტანლობამ ისე შეიპყრო არარატის რესპუბლიკის ხელმძღვანელი წრეები, რომ ისინი ანგარიშსაც აღარ უწევენ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას და არ ესმით რომ საქართველოს ჯარი ამ წუთშიაც სახელმწიფოს სანაპიროებზე დგას მუხანათ მტრის მოლოდინში...

მეზობელ ხალხმა უნდა უწყოდეს ჩვენი რესსურსები და ამის მიხედვით განაცხადოს თავისი პრეტენზიები! რაც შეეხება იმას, თითქოს საქართველო აწარმოებდე შოვინისტურ პოლიტიკას, ამაზე სომხების მხრივ ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, უხერხულია: ორწელნახევარი ქართველი ხალხი საუკეთესო შვილების სისხლს ანთხევდა საქართველოის და, მაშასადამე, სომხეთის დასაცავადაც მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სამხრეთ მეზობელს თითიც არ გაუნძრევია ჩვენს დასახმარებლად, პირიქით...

დიდი თავხედი უნდა იყოს ადამიანი რომ სამი დლი წერილი დაბეჭდოს, მთლად სიცრუე გამოტენილი!...

# ვენიზელოსი.

ამ დღეებში საბერძნეთის პარლამენტმა თავის საგარეო სხდომაზე ვენიზელოსი ქვეყნის მხსნელად აღიარა.

დიდი ამაგი დასდო ამ ადამიანმა თავის ქვეყანას და მადლიერ მშობელ ერმაც სამართლიანად დააფასა ის. რას წარმოადგენდა საბერძნეთი ამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც ვენიზელოსი პირველად ჩაუდგა მას სათავეში. ის იყო პატარა სუსტი სახელმწიფო, რომელსაც ანგარიშს არავინ არ უწევდა.

თავის მართველობის პირველ დღიდანვე ვენიზელოსი სცდილობდა მრავალ გზით გამოეყენებინა თავის ერის საკეთილდღეოდ ყოველი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა.

საბერძნეთმა მიიღო მონაწილეობა ბალკანეთის სახელმწიფოთა კოალიციაში ოსმალეთთან ომის დროს. შემდეგ სხვებთან ერთად იკვეთა გუშინდელ მოკავშირე ბულგარეთს. ბალკანეთის ომებში საბერძნეთი თამაშობდა მხოლოდ დამხმარე ძალის როლს. ამისდა მიუხედავად, ვენიზელოსის დიპლომატიურ უნარის წყალობით, საბერძნეთმა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მეტი შეიმატა: ტერიტორიულად და აგრეთვე ხალხის რაოდენობის მხრივ.

ამ დროს იყო, რომ სერ ედუარდ გრეიმ პირველმა შეაქო ვენიზელოსი. დაიწყო საერთაშორისო ომი ბალკანეთის ყველა სახელმწიფონი: სერბია, რუმინია, ბულგარეთი, ოსმალეთი, ჩაებნენ ომის ფერხულში

ერთად ერთი საბერძნეთი იყო რომელსაც არ უგემია ომის სიმწარე და მხოლოდ, როცა გამოირკვა, რომ ანტანტამ საბოლოოდ გაიმარჯვაო, მაშინ დაეტყო საბერძნეთის პოლიტიკას აქტიობა ვენიზელოსის შორსმჭვრეტ პოლიტიკამ და ნიჭიერ დიპლომატიამ გამოიღეს თავისი ფესვები: შეიძლება ითქვას, რომ აქაც ერთ მებრძოლ ქვეყანას არ გაუღია ამ ომის დროს ისეთი მცირე მსხვერპლი, როგორც საბერძნეთმა, და მასთან ერთად იშვიათად თუ რომელიმე მათგანმა მიიღო და შეიმატა იმდენი როგორც იმავე საბერძნეთმა უმცირეს ხარჯის გაღებით—უდიდეს სარგებლის მიღება, აი ის მთავარი მომენტი, რომელითაც ხასიათდება ვენიზელოსის საგარეო პოლიტიკა.

ხელმეორედ იშვა საბერძნეთი, როგორც აქტიური ძალა აღმოსავლეთში.

როს უმზერ შორიდან ვენიზელოსს ძველ საბერძნეთის ცნობილი გმირები თვალწინ გესახებიან...

ძალა უნებურად ავლებ პარალელს: საბერძნეთში ვენიზელოსი კრიტელი, საქართველოში გეგეჭკორი ბამბაკელი, მდივანი—ლორელი და ურატაძე—პოსკოველი...

იასონ ჯავახიშვილი.

# ქრონიკა.

## ავსტრო-გერმანიის კავშირი.

უკანასკნელ დროს ავსტრიაში ფართო აგიტაცია სწარმოებს გერმანიასთან კავშირის აუცილებელ საჭიროებისათვის. ამ აგიტაციას ხელმძღვანელობენ ქრისტიანი სოციალისტები, რომლებმაც არჩევნებში აბსოლიატური უმრავლესობის ხმა მიიღეს. თითქმის ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტიებიც იმ აზრისაა, რომ ავსტრიის ცალკე არსებობა არ შეუძლია, და რომ სან-ჟერმენის ხელშეკრულება ავსტრიას განადგურებით ემუქრება.

## ტურატის განცხადება.

ჟურნალი „დე“ „იტალი“ აქვეყნებს იტალიელი სოციალისტის ტურატის

[illegible]

კანადის მუშათა კონგრესი.

[illegible]

# მოწოდება

ერთა ლიგას,
პარლამენტებს,
სოციალისტურ და
მუშათა ორგანიზაციებს,
პარტიებს,
სამეცნიერო და კულტურულ საზოგადოებათ,
დაწესებულებათ და
პრესსას

## მთელი ქვეყნიერებისას.

დიდი ომი, უკვე დასრულებული ორი წლის წინედ დასავლეთ ევროპაში, ახალის ძლიერებით ინთება ისევ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კავკასიაში და წინა აზიაში.

დასავლეთიდან იწყება სომხეთის შეიარაღებული ძალები თურქთ ნაციონალისტებისა პანთურქისტების, მუსტაფა-ქემალის და ენვერის ხელმძღვანელობით, აღმოსავლეთით კი მათი აზერბაიჯანელი თანამოაზრენი და დამხმარენი, ბოლშევიზმის დროშის ქვეშ, ესწრაფვიან შეუერთდნენ მათ სომხეთის ტერიტორიაზე.

თავის ძალთა ანაპარად დარჩენილი სომხის ერი აწარმოებს გამართულ ბრძოლას რათა დაიცვას დამოუკიდებელი არსებობა თავისი დემოკრატიული რესპუბლიკისა, დამყარებულის სამოქალაქო თავისუფლებისა და ეროვნებათა თანასწორობაზე.

დამარცხება სომხეთისა იქნება გამარჯვება რელიგიური ფანატიზმისა და ეროვნული დამონებისა.

სომხეთის დამარცხებისთანავე იგივე პანთურქული ძალები, რომელთა მიზანია, სხვათაშორის, განხორციელება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა, დაუყონებლივ თავს დაესხმიან მეორე დემოკრატიულ რესპუბლიკას, მეზობელ საქართველოს.

ამ მძიმე მომენტში ბრძოლისა ევროპის დემოკრატიის დიადი იდეალების განხორციელებისათვის წინა აზიაში, ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, მივმართავთ ერთა ლიგას და მთელ დემოკრატიას განათლებულ ქვეყნებისას მოწოდებით, რათა გამოძებნილ იქმნას რეალური ზომები ორი უძველეს ერთა განადგურების ასაცილებლად, რომელთაც შექმნეს თავიანთ ტერიტორიაზე ახალი ფორმები ევროპიული თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, და აგრეთვე ასაცილებლად იმისა, რომ პროგრესისათვის გამოღვიძებული მუსლიმანური მასსას არ დაუბრუნდეს საშუალო საუკუნოების წყვდიადით მოცული ხანა.

# დეპეშები.

ს. დ. ს. სააგენ. განყ. ცნობები.

[illegible]

...დებლებს უარი განაცხადონ მესამე ინტერნაციონალთან და მოსკოვის ბოლშევიკებთან თანამშრომლობაზე.

[illegible] ცნობას. გაზეთის ცნობით ქალაქის დაკავების დროს დიდი ბრძოლა გამართულა ბუხარეთის ჯარის გა... და ქალაქს იცავდნენ ავღანელები.

# ქრონიკა.

## სამინისტროებში.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ... სამაზრო მილიციის უფროსებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულარი: სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ არის მიღებული მთელი რიგი ზომებისა გავრცელებულ დეზერტირობასთან საბრძოლველად, რომელთა ცხოვრებაში გატარებლად შტაბი საჭიროებს შესაფერის დახმარებას ადგილობრივ ადმინისტრაციის მხრივ. გაუწყებთ რა ამას წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ და ჯეროვანი ენერგიით შეასრულოთ ყველა უშუალო მიმართვა თქვენდამი სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა.

— ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა მიმართა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქის გამგეობებს შემდეგი განცხადებით: ა.—წ. ღვინობისთვის 17 შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი ქალაქებისა და ერობათა მომავალ არჩევნებზე ხარჯების განაწილების შესახებ. ამ თათბირზე გამოირკვა, რომ თვით ქალაქები და ერობები ამ ხარჯების იმ ნაწილსაც გაიღებენ, რომელიც მათ ეკისრებათ არსებული კანონით. გამოირკვა აგრეთვე, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებისათვის საჭირო იქნება ამომრჩეველთა მუდმივი სიების შედგენა. მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში, თათბირმა სასურველად დაინახა მუდმივი სიების შედგენა მოხდეს ეხლავე, თვითმართველობათა არჩევნების წინ, რომ ამით შეიძლებოდეს სარგებლობა ორივე არჩევნებისათვის, ეს საშუალებას მოგვცემს იმ ხარჯით, რომელიც საჭირო იქნება საპარლამენტო სიების შედგენათ, მოვაგვაროთ თვითმართველობათა საქმეც. თვით მინისტრიც შესაძლებლად სთვლის ასე საქმის მოწყობას და დაავალა ორივე ცენტრს (ქალაქთა და ერობათა) დაჩქარებით წარმოადგინოთ ცნობები, თუ რა თანხას მოითხოვს სახელმწიფო ხაზინიდან ხსენებული სიების შედგენა და თვითმართველობათა არჩევნების მოწყობა. ამა მოსაზრებათა გამო გთხოვთ დაუყონებლივ და არა უგვიანეს ერთი კვირისა მოგვაწოდოთ საჭირო ცნობები თქვენი ქალაქის შესახებ. კარგი იქნება თუ დაურთავთ იქვე ცნობებს, წარსული არჩევნების მიხედვით, მცხოვრებთა და ამრჩეველთა რიცხვისა და ტერიტორიის სივრცის შესახებ. ცნობა უნდა მოგვაწოდოთ კავშირის სახელზე და აქედან იქნება წარდგენილი სამინისტროში.

— იუსტიციის სამინისტროში. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნა დამფუძნებელი კრების წევრების ცისკარიშვილისა და შარაშიძის მოხსენება თიანეთის მაზრაში არსებულ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მდგომარეობის შესახებ. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სთხოვს იუსტიციის სამინისტროს გასცეს სათანადო განკარგულება იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც მოხსენებაში არის აღნიშნული და კერძოთ კი სასამართლოს საკითხის მოსაწესრიგებლად. პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის გამოირკვიონ საქით. ბეკოშვილის მკვლელობის შესახებ. ბეკოშვილს აბრალებდნენ ყაჩაღობას, იგი დააპატიმრა ადმინისტრაციამ და მეორე დილას კი კამერაში ყელგამოჭრილი იპოვეს. იუსტიციის სამინისტრომ ამ მოხსენების მიღების შემდეგ მკვლელობის გამოძიების სასწრაფოთ მოხდენა უდიდეს საქმეთა გამომძიებელ დილევსკის მიანდო. დილევსკის მიენდო თიანეთის მაზრაში არსებულ სასამართლოების მდგომარეობის გამოკვლევა.

— პროექტი კანონისა შრომის ბეგარის შესახებ. შრომის სამინისტრომ დასკვნისათვის დაინტერესებულ უწყებებს და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარუდგინა პროექტი კანონისა შრომის ბეგარის შესახებ. პროექტი 12 მუხლისაგან შესდგება: 1. მუშებისა და მოსამსახურეების სათანადო კადრის სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად და აგრეთვე ყველა მშრომელ ელემენტის სასარგებლო მუშაობაში ჩასათრევად არსდება საყოველთაო შრომის ბეგარა. 2. შრომის ბეგარა ეხება ყველა მამაკაცს, ვინც კი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სცხოვრობს, 18 60 წლამდე და დედაკაცს 18 50 წლამდე, 3. შრომის ბეგარის მოსახდელად პირველად ყოვლისა გაწვეული იქნებიან ქალაქთა მცხოვრებნი, რომლებსაც არა აქვთ სამუშევარი და აგრეთვე ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც არა აქვთ სამუშევარი თავის სპეციალობის და მიხედვით, 4. შრომის ბეგარისაგან თავისუფლდებიან ავადმყოფნი და აგრეთვე ქალები ფეხმძიმობის და პატარა ბავშვების ძუძუს წოვის დროს, 5. შრომის ბეგარა შეიძლება იქნეს შემოღებული მთავრობის ბრძანებით, და აგრეთვე ქალაქთა და ერობათა დადგენილებებით. თვითმართველობების დადგენილებანი დასკვნისათვის გადაიცემა უმაღლეს საბჭოს, რომელიც შემდეგ მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. 6) შრომის ბეგარის მოსახდელად გასაწვევ პირთა რაოდენობას საზღვრავს მთავრობა, იმის და მიხედვით, თუ როგორი არის სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებანი, 7) შრომის ბეგარით გაწვეულნი პირნი იღებენ შრომის ხელფასს, რომელსაც შრომის სამინისტრო საზღვრავს. 8) საქმეებს, რომლებიც შრომის ბეგარას შეეხება უმაღლესი ეკონომიურის საბჭო განაგებს. საბჭოები მოქმედებენ ადგილობრივად ქალაქთა და ერობათა თვითმართველობის ორგანოებთან ერთად. კომისიაში შედიან: ორი წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმართველობიდან და თითო თითო წარმომადგენელი პროფესიონალურ კავშირიდან, სახალხო გვარდიიდან და შრომის სამინისტროდან, 9) ეკონომიურ საბჭოს ეძლევა უფლება ინსტრუქციის გამოცემისა ინსტრუქციებს და წესებს საბჭო შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით სცემს და სხვ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. ბერძნების ევაკუაცია მთავრობამ ნება დართო სომხეთში მცხოვრებ ბერძნებს საქართველოს ტერიტორიით საბერძნეთში წასვლისა. ელინთა მისია ზრუნავს, რაც შეიძლება დაჩქარებით, გაამგზავროს ბერძნები სამშობლოში. სომხეთში მცხოვრებ ბერძნების ევაკუაციის შემდეგ განსაზღვრული იყო არდაგანის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებ ბერძენთა ევაკუაცია, მაგრამ იგი ელინთა მისიის თხოვნით შეაჩერეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ სათანადო უწყების მამართ უკვე გამოსცა სათანადო განკარგულება.

## სხვა და სხვა ამბები.

— სამუსიკო საზოგადოებაში. პირველი მუსიკალური დისპუტი. სამუსიკო კოლეგია ქართულ სამუსიკო საზ—ბისა მოიწვევს ყველა სიმღერის მასწავლებლებს, და ვისაც მუსიკა აინტერესებს ორ შაბათს, 25 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე (პეტრე დიდის ქ. № 8, ქართული სამუსიკო სასწავლებელი) დღის წესრიგია: მოხსენება ბ-ნ ი. კარგარეთელისა, 1. „ს მასწავლებლო მეთოდი ელემენტარულ მუსიკის ცოდნისა და სიმღერის დაყენება საშუალო სკოლაში“, 2. „მიზანი და მისი განხორციელება“ ოპონენტად დ. არაყიშვილი.

— ბრძოლა ეპიდემიასთან. ჯანმრთელობის დეპარტამენტში სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით შესდგა თათბირი შავი ჭირთან ბრძოლის საკითხის შესახებ. საკითხის დაწვრილებითი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) ეცნობოს მცხოვრებთ პრესის, ფურცლებისა და სხვათა საშვალებით თუ როგორი საფრთხე მოელის მათ შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებისაგან, 2) დაევალოს სახლის და სასტუმროების პატრონთ აცნობონ ტფილისის სანიტარულ ბიუროს შავი ჭირით ავად გახდომის ყველა შემთხვევა. ასეთივე დავალება ეძლევა ყველა ექიმს, რომლებიც თბილისში მუშაობენ, 3) ბათომიდან ღამით ჩამოსული ვაგონები უნდა გადმოიტვირთოს დღით, ამასთანავე უნდა თვალყური ედევნოს, რომ სადგურის მიდამოებში არ გაჩნდნენ ვირთხები, 4) ტფილისის საწყობებში არსებული საქონელი უნდა ელაგოს იატაკიდან და კედლებიდან, ერთი ადლის დაშორებით. 5) უნდა იქნეს მიღებული ზომები ვირთხების მოსაწამლავად, ამასთანავე ხვრელები მაზუთით და კირით უნდა გაიწმინდოს. 7) ქალაქი უნდა გასუფთავდეს ნაგავისაგან. 8) შავი ჭირით ავად გამხდარი უნდა მოათავსონ ქალაქის საავადმყოფოში. აღნიშნულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება სანიტარულ ორგანიზაციას ევალება.

— შაბათს და კვირას ღვინობისთვის 23 და 24, მ 5-თე ქვეითა ათასეულის თეატრში მსახიობი თ ა რ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით გაიმართება ჯარის კაცთათვის წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება 23 ქ რ ი ს ტ ი ნ ე და ს ი ძ ე ს ი მ ა მ რ ი მონაწილეობას იღებენ ამავე ათასეულის ჯარისკაცნი და ოფიცრები. მუსიკით ცეკვა წარმოდგენის შემდეგ. დასაწყისი 7 საათზედ. წარმოდგენაზედ შეუძლიანთ დაესწრონ უფასოდ ჯარის კაცებს, გარეშე პირთათვის ბილეთები ისყიდება ათასეულში.

— რესპუბლიკის ომში დაშავებულ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა კავშირის შენობაში პლეხანოვ ს პრ. № 139 კურსები წერა-კითხვის უცოდინარ და ჭრილთათვის. აგრეთვე გახსნილია მოსამზადებელი კურსები გიმნაზიის 4 კლასის მოწმობის ასაღებათ. კურსები გახსნილია დაჭრილთათვის, მაგრამ მიიღებიან გარეშენიც საფასურით, და ჭრილები, რომელნიც მოისურვებენ სწავლა-განათლების მიღებას, [illegible]

[illegible]

— შრომის ბირჟა. საბჭოს სეკრეტა[illegible] ჭოს სეკრეტარიატმა თავის ინსტრუქტორებს მისცა გამოარკვიონ, თუ რომელ კავშირში უნდა შევიდნენ წევრად ტფილისის წისქვილებში მომუშავენი და მოსამსახურენი.

[illegible]

22 ოქტომბერს მორტკინის წარმოდგენის დროს სახელმწიფო თეატრში არა დანიშნულ ადგილს პაპიროზის მოწევისთვის დაჯარიმებული იქმნენ ას ასი მანეთით გიორგი მოსეს ძე ხითაროვი, და ლევან ივანეს ძე ჩიკალაშვილი.

ისკანდერ მუნჯის

ზღაპარი

## დემოკრატი და გლეხი.

იყო და არა იყო რა. სოციალიზმის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი სოციალ-დემოკრატი და ერთი პროლეტარი გლეხი.

დემოკრატი და გლეხი დამეგობრდნენ. გლეხმა დემოკრატი დაპატიჟა ვახშმად: წავიდნენ გლეხის სახლში. ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მივიდნენ გაპროლეტარიატებულ თავადის მამულთან. ნახეს გაოხრებული გაძარცვილი მამული თავადისა.

დემოკრატმა დაუწყო გზაში გლეხს ლექციის კითხვა მარქსის კაპიტალიზმზე და უმტკიცებდა, რომ დემოკრატიზმ თ სოციალისტურ სამოთხეში მივექანებით.

გლეხი ისე გაიტაცა ლექციამ, რომ ორმო ვერ შეამჩნია და შიგ ჩავარდა. (ცალიერი ორმო იყო ფეტვისა. თავადს აღარც ქათმები ჰყავდა და აღარც ფეტვი ჰქონდა).

დემოკრატმა ჩასძახა გლეხს:

ნუ გეშინიან, ცოტა ხანი მომიცადე, თოკს მოვიტან და ამოგიყვანო.

გლეხმა ამოსძახა:

ამხანაგო! რომ მეუბნები—მომიცადეო, აბა სად გავექცევი?*) შენ ერთი ეს მი-

— არა.

— ჭაპანი?

— ჭაპანიც-არა. ძველი და ახალი რეჟიმის დროს იმდენი ჭაპან-წყვეტა გამოვიარე, რომ რაღა ჭაპანი შემრჩებოდა.

— მაშ რა ვქნათ?

— თოკი მაგ ბურჟუა თავადს აქვს. ჩემი დედაკაცი სარეცხს ურეცხავდა. ათოდე თოკი უნდა ჰქონდეს. იმდენი საცვალი ჰქონდა თავადს, რომ მთელ ჩემ სიცოცხლეში ვერ გავცვეთავდი...

— კარგი, მომიცადე. თუ არ მომცა თოკი, რეკვიზიციით წავართმევ.

მივიდა დემოკრატი თავადთან და უთხრა:

— ბურჟუავ, თოკი მომეცი.

წავიღებ და ამოვიყვან

ჩემს ამხანაგსა გლეხსაო.

თავადმა უთხრა:

შენ რომ ჩემთვის ბონები მოგიტანიაო.

წავიდა დემოკრატი ფინანსთა მინისტრ ავალიანთან და უთხრა:

სიმონ, ბონები მომეცი,

ბონებს მიუტან თავადსა.

თავადი მომცემს თოკსა

წავიღებ და ამოვიყვან ჩემს ამხანაგსა გლეხსაო.

სიმონმა უთხრა:

შენ რომ ჩემთვის ბონების დასაბეჭდად ქაღალდი მოგიტანიაო.

დემოკრატი ახტა—დახტა. მივიდა ინგლისთან და უთხრა:

ინგლისო მომე ქაღალდი, ქაღალდს მიუტან სიმონსა, სიმონი მომცემს ბონებსა, ბონებს მიუტან თავადსა, თავადი მომცემს თოკსაო. წავიღებ და ამოვიყვან ჩემს ამხანაგსა გლეხსაო.

ინგლისმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის თუთუნი მოგიტანიაო...

დემოკრატი ახტა—დახტა. მივიდა მომარაგების სამინისტროში ყიასაშვილთან და უთხრა:

ვანო, მომეც თუთუნი,

თუთუნს მიუტან ინგლისსა,

ინგლისი მომცემს ქაღალდსა,

ქაღალდს მიუტან სიმონსა,

სიმონი მომცემს ბონებსა,

ბონებს მიუტან თავადსა,

თავედი მომცემს თოკსაო.

წავიღებ და ამოვიყვან ჩემს ამხანაგსა გლეხსაო.

ყიასაშვილმა უთხრა:

შენ რომ ჩემთვის მარილი მოგიტანიაო.

დემოკრატი ახტა—დახტა. მივიდა სომეხთან და უთხრა:

სომეხო, მომეც მარილი,

მარილს მიუტან ვანოსა,

ვანო მომცემს თუთუნსა,

თუთუნს მიუტან ინგლისსა,

ინგლისი მომცემს ქაღალდსა,

ქაღალდს მიუტან სიმონსა,

სიმონი მომცემს ბონებსა,

ბონებსა მივახლი თავადსა.

თავადი მომცემს თოკსა,

წავიღებ და ამოვიყვან

ჩემს ამხანაგსა გლეხსაო.

სომეხმა უთხრა:

შენ რომ ჩემთვის თათრის წინააღმდეგ გვარდია მოგიყვანიაო...

დემოკრატი ახტა—დახტა. მივიდა ვალიკო ჯუღელთან და უთხრა:

ვალიკო, მომეც გვარდია

სომხებს დავიხსნი ბედშავსა

თათარს მიუხევ გრადიას

კუდით ვასროლიებ ქვასაო.

სომეხი მომცემს მარილსა,

მარილს მიუტან ვანოსა,

ვანო მომცემს თუთუნსა,

თუთუნს მიუტან ინგლისსა,

ინგლისი მომცემს ქაღალდსა,

ქაღალდს მიუტან სიმონსა,

სიმონი მომცემს ბონებსა,

ბონებს მიუტან თავადსა,

ფულებით გაუმაძღარსა.

თავადი მომცემს თოკსაო,

თოკსა მიუტან თავადსა,

თავადი მომცემს თოკსაო,

წავიღებ და ამოვიყვან

ჩემს ამხანაგსა გლეხსაო.

ვალიკომ არაფერი მოსთხოვა დემოკრატს. (ქვაცა აქვს და კაკალიც) მისცა გვარდია დემოკრატს. წაიყვანა დემოკრატმა გვარდია. დაიხსნა სომხეთი, დედა უტირა თათარსა: სულ კუდით ქვა ასროლინა. ანტანტას გაეხარდა რა ყოჩაღი ყოფილა საქართველოო და დეფაქტოთ თუ იურიდიულად (მე ვექილების სკოლაში არ მისწავლია) აღიარა საქართველო დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკათ.

მადლიერმა სომეხმა მთელი აოზევანის მარილი აჩუქა დემოკრატს. მიუტანა მარილი დემოკრატმა ყიასაშვილს, გამოართვა თუთუნი, თუთუნი გაცვალა ქაღალდზე, ქაღალდი ბონებზე, ბონები მიუტანა თავადს, თავადმა მისცა თოკი (ბანკს არ დაეგირავებინა და იმიტომ შერჩა) წაიღო და ამოიყვანა ორმოდგან ამხანაგი გლეხი.

წავიდნენ გლეხის სახლში ვახშმის საჭმელად.

გზაში უთხრა დემოკრატმა გლეხს:

ხომ კარგი ვქენი, ორმოდგან რომ ამოგიყვანეო.

გლეხმა მადლობა მოახსენა.

ვახშმის დროს დემოკრატმა ჰკითხა გლეხსა:

— არა, ხომ კარგი ვქენი ორმოდგან რომ ამოგიყვანეო.

გლეხმა მადლობა მოახსენა.

*) წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა, გვ. 38. ახალი: თოკი ხომ გაქვს სახლში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მევენახეთა ყრილობა ს. ველისციხეში

**ყრილობის საკითხები:**
1. მეღვინეობისა და მევენახეობის მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში.
2. კრიზისის ასაცილებელი ღონისძიება.




**რეზოლიუცია:**
„საჭიროა შინაური წარმოების წახალისება უცხოეთიდან შემოტანილი ღვინის დაბეგვრითა და შეზღუდვით".

## ყრილობის შემადგენლობა.







კახელ მევენახეთა კოოპერ. საზ. „კავშირთ-კავშირის" ღვინის საწყობები და შენობანი ს. მუკუზანში.

გლეხის სახლში მეგობრებმა სოციალ-დემოკრატმა და პროლეტარმა გლეხმა კარგათ იქეიფეს.

პური სჭამეს და ღვინო სვეს.

ღმერთი არ მოიგონესა. გამოაცილა მასპინძელმა სტუმარი. ორმოსთან რომ მივიდნენ, დემოკრატმა ჰკითხა გლეხსა:

— არა, სწორედ მითხარი: კარგი არ გქენი, რომ ამ ორმოდგან ამოგიყვანე.

გლეხი გაბეზრდა მადლობის თქმით და განგებ ჩავარდა ორმოში და ამოსძახა ამხანაგო:

— თუ ღმერთი გწამს, ნულარ ამომიყვანო.

გლეხი დარჩა ორმოში და დემოკრატი შინ წამოვიდა.

ლხინი იქა, ჭირი აქა,
ფქვილი იქა, ქატო აქა.
მოვზელავ და გამოვაცხობ გემრიელსა ლამაზსაო.
თუ ერაძის პურს არ სჯობდეს, წყეარს მივატებ კალამსაო.

## † ჩვენი ვალიკო.
### (ნეკროლოგი).

ქუთაისიდან გულისმომკვლელი ცნობა მივიღეთ. უღვთო სიკვდილს მსხვერპლად მიუილა სიცოცხლეზე და ნათელ მომავალზე მეოცნებე—ვარლამ (ვალიკო) ჩიხლაძე. ყველას, ვინც კი იმას იცნობდა მწარე ფიქრთა მთელ რიგს აუშლის ეს დანაკლისი. მან შარშან დაასრულა ქუთაისის მე-2 ე გიმნაზიის რვა კლასი სიცოცხლისა და ახალგაზრდულ ენერგიის გაშლის წყურვილით ანთებულ ახალგაზრდას ჯერ კიდევ არ დაეწყო ბრძოლა ცხოვრების აზვირთებულ ტალღებთან—და მუხთალ ბედის წერას უსამართლო და მწარე განაჩენი გამოაქვს.

თუ უსაზღვროა ერთის მხრით სევდა და გლოვა მისი მშობლებისა, დიდია მწუხარებაც იმ ამხანაგებისა, რომელთაც მასთან აკავშირებდა მრავალ წელთა განმავლობაში ბედისა თუ უბედობის თანაზიარობა, მოწაფური ტრადიციები და იდეალების იგივეობა.

გიმნაზიის კედლები ის დუღაბი იყო, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა და ერთმანეთისათვის ძვირფასად გვხდიდა; ის იდეალები, რომელნიც ამავე კედლებში გამომუშავდა, ხორც-შესასხმელი და გასანაღდებელი იყო და სწორედ ეს ქმნიდა სულიერს კავშირს და ნათესაობას. ჩვენს შორის ეს აძლევდა ჩვენს ამხანაგურ წრეს მეტს გამძლეობას და სიმტკიცეს. და ამ წრეს შეუმჩნევლად ნელ-ნელა აკლდება ამხანაგები.

ყველაზე უფრო მწვავედ შენს დაკარგვას, ძვირფასო მე ვგრძნობ ვინაიდან ყველაზე უკეთ, მე ვიცნობდი შენს ფაქიზს სულს, შენს სიყვარულისა და სათნოების გრძნობით გამთბარ გულს ადამიანისადმი. ჩემი სევდა ორკეცდება მით უფრო, რომ ვგრძნობ სამშობლომ დაკარგა შენთან ერთად პატრიოტი, რომელიც სხვაზე ახლო იღებდა გულთან სამშობლო ქვეყნის სიხარულს თუ სევდას.

შენ ეკუთვნოდი ამხანაგთა იმ წრეს, რომელთაც ყველაზე მაღლა დააყენეს სამშობლოს კულტი და მისთვის უანგარო სამსახური. მაგრამ ავადმყოფობამ თანდათან დაგცალა ენერგიიდან. სიკვდილის უნდა მახვილმა წაგართვა სამშობლოზე ფიქრისა და ნათელ იდეალების თვის ბრძოლის საშვალება. რა დამრჩენია იმის მეტი, რომ სევდა მორეულმა გითხრა უკანასკნელი: მშვიდობით! მშვიდობით ძვირფასო ვალიკო.

საუკუნო იყოს შენი ხსენება.

ნ. წ—ძე.

## ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან

როგორც აღნიშნული გვქონდა იუსტიციის სამინისტროში შედგა საგანგებო კომისია ს. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით და სამინისტროს წევრთა მონაწილეობით, რომელიც იკვლევს კანონ-პროექტს ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ: კანონ-პროექტი უკვე შემდგარია 17 მუხლად.

ვინაიდან ამ კანონ-პროექტის ზოგიერთი მუხლი პირდაპირ გულისხმობს ქართულ ეკლესიის დასამარებას, ღვინობისთვის 21-ს კათალიკოსის ბინაზე შესდგა საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომა რომელსაც გარდა საკათალიკოსო საბჭოს წევრებისა დაესწრნენ, მოწვეულნი პირნი: პროფესორები, იურისტები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი და სასულიერო წოდების წარმომადგენელნი.

კრება გახსნა მის უწმინდესობამ კათალიკოს ლეონიდემ, მან გაუთვალისწინა კრებას შინაარსი ამ კანონ-პროექტისა და ის ცამლუპველი შედეგები რომელიც მოსდევს ამ კანონ-პროექტის ცხოვრებაში გატარებას. კათალიკოსმა აღნიშნა რომ რამდენადაც საფრანგეთის კანონმდებლობა იცავდა ეკლესიას დაღუპვის გზიდან იმდენად ეს ჩვენი კანონ პროექტი ჰქმნის ტენდენციას თანდათან დასამაროს ერის სარწმუნოებისთვის ეკლესიით; ბრძანა კათალიკოსმა წინააღმდეგი არა ვარ ეკლესიის სახელმწიფოდან განცალკევებისა რაც სამართლიანად ჯეროთ აღიარა და დაადასტურა აგრეთვე მეორე საეკლესიო კრებამ, მაგრამ ისე უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს ეს გამოყოფა როგორც საზღვარ გარედ მოხდა. კათალიკოსმა დასასრულ თვის სიტყვისა მოუწოდა იქ დამსწრეთ თვისი ყურადღება მიექციათ ამ ამაღელვებელ ფაქტისათვის და შესაფერი ზომები მიეღოთ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა მიენდოს საკათალიკოსო საბჭოს დანიშნოს ზემო აღნიშნულ კომისიაში თვისი წარმომადგენელნი, რომელთაც აგრეთვე დაევალოთ პროტესტი განაცხადონ ამ კანონ-პროექტის ზოგიერთ მაინც მუხლების გამო.

დ. პ.

# ჩვენი კორესპონდენტები

## ჭიათურა.

ამ დღეებში ჭიათურაში შედგა შავი ქვის მრეწველთა კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნა მიმდინარე საკითხების შავი ქვის ექსპორტთან და საზოგადოთ მრეწველობასთან დაკავშირებული. ამავე კრებაზე მოსმენილ იქმნა წინადადება სავაჭრო სახლის „მარგანეცის წარმოებელთა ასოციაცია"-ს მიერ შეტანილი წინადადება, რომელიც მიუთხრობს კომიტეტს რომ 1917 წ. „რუსეთ-აზ ისბანკმა ყოფილ დირექტორის 3-ს მეთაურობით აუქციონით გაყიდა ერთი მილიონამდე მადანი რომელიც ჭიათურის სადგურზე იყო ჩამოტანილი. ეს მადანი ეკუთნოდა ხსენებულ ასოციაციას და რუსეთ აზოვის ბანკში იყო დაგირავებული, რომელიც ომის გამო ვერ იქმნა საზღვარგარედ გაზიდული. ამდენივე რიცხვი მადნისა ამავე დროს გაჩნდა გასაყიდი ჭიათურის საწყობებში. მადანი შეუსყიდია ბათომელ კომერსანტ გ-ს, რომელსაც არც ჰქონია და არცა აქვს რაიმე დამოკიდებულება მარგანეცის წარმოებასთან. მადანი ფუთი ორ აბაზად გაყიდულა. ამ კომერსანტს ამ დღეებში გაუყიდია მარტო ერთი ნაწილი ჭიათურის მადნისა რამდენიმე მილიონად და ჭიათურის მადანს ჯერ ინახავს თადარიგში სპეკულიაციურ მიზნით, ელის რა მადანზე ფასის აწევას, რომელიც აქამდე თავის ფასობაზე 25 45 მანეთად ფასობს ფუთი, ბაზრის ფასი კი ძლიერ აწეულია თითქმის 300 მანეთამდე ფუთი. აღნიშნულ ასოციაციის რწმუნებული მეტად მცირედ და თავდაჭერილ თხოვნით მიმართავს კომიტეტს—არ მისცენ იჯარით გ-ს ჭიათურის დასამუშავებელი უბნები და დაუბრუნდეს ის „ასოციაციის" სავაჭრო სახლს. კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება უარი ეთქვას გ-ს ამ მადნის ნაწილის დათმობაზე, ვინაიდან მას ჯერ იქვე 1918 წელს გამოეცხადა რომ ეს ნაწილი მასზე არ იქნება დარჩენილი. მეორე საკითხი, რომელიც კომიტეტმა მოისმინა იყო საკითხი მარგანეცის გაზიდვის საქმის მოუწყობლობა მკათათვისა და მარიამობის თვეში. ამ ორ თვეში წინადადება იყო გაზიდულიყო 6 მილიონ ფუთზე მეტი, ნამდვილად კი გაიზიდა 3 მილ. ფუთამდე. უმთავრეს მიზეზად ამისა იყო მუშაობის უნაყოფობა ამ მიზეზთა, გამოსარკვევად საუწყებოთა შორისო კომისია იქნა არჩეული.

ამ ბოლო დროს მარგანეცის გაზიდვის საქმე შეფერხებულია, გემების მოუსვლელობის გამო. შემდეგი სხდომა კომიტეტისა ნოემბრის 25—სათვისაა დანიშნული.

დამსწრე.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხპ. კედია.

## მატარებელთა მოსვლა.

ღვინობისთვის 10-დან 1920 წ.

### თბილისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისაკენ | 10 ს. 58 წ. | დილ. |
| ბათომში ჩადის | 7 ს. 27 წ. | დილ. |
| № 9 ფოთისაკენ | 5 ს. 34 წ. | დღით |
| ფოთში ჩადის | 10 ს. 45 წ. | დილ. |
| № 7 ბათომისკენ | 10 ს. 28 წ. | სალ |
| ბათომში ჩადის | 5 ს. 52 წ. | სალ. |
| № 19 ბორჯომისკენ | 3 ს. 19 წ. | დღ. |
| ბორჯომში ჩადის | 11 ს. 25 წ. | დღ |
| ხალოდლისკენ | 7 ს. 20 წ. | დილ. |
| № 4 სახაინისკენ | 8 ს. | დილ. |
| სანაინში ჩადის | 5. ს. | სალ. |
| კახეთისკენ | 8 ს. 30 წ. | დილ. |

### თბილისისკენ მოდიან.

| | | |
|---|---|---|
| № 10 ფოთიდან | 3 ს. 51 წ. | |
| თბილისში მოდის | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| № 4 ბათომიდან | 4 ს. 9 წ. | დღ. |
| თბილისში მოდის | 1 ს. 1 წ. | დღ. |
| № 8 ბათომიდან | 11 ს. 37 წ. | ღამ. |
| თბილისში მოდის | 7 ს. 36 წ. | ღამ. |
| № 20 ბორჯომიდან | 12 ს. 22 წ. | ღამ. |
| თბილისში მოდის | 7 ს. 47 წ. | დილ. |
| ხალოდლიდან | 12 ს. 10 წ. | დილ. |
| № 4 სანაინიდან | 7 ს. 30 წ. | დილ. |
| თბილისში მოდ. | 3 ს. 20 წ. | დღ. |
| კახეთიდან თბილისში მოდ | 8 ს. 20 წ. ს. | |

ქუთაისში
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოშვილი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჰოლოშვილისა
№ 3208.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლ...
მიხეილ გედევანიშვილის
დილით 12—2 საათ. სალ. 6—8 საათ.
არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20
ვერაზე. ტელ. 9—71. 3102.

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების
მიღება დილის 8 ს დან 11 ს-მდე;
ღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 2...

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების
მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება სალ. 5-7 ს, ანასტასის
ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

იყიდება
ტუალეტ...
წითელი ხისა და ტყავის ...
ვარძელი კაბინეტისათვის
მაღაზია „სალონ კოტი" ვერის ...
მართი № 7.
2—1 32...

იყიდება
სასტუმრო მოწყობილება, ...
ბ...ნეტი, მოსასვენებელი ოთ...
ხი, სასადილო დარბაზი...
მაღაზია „სალონ-კოტი" ვერის ...
მართი № 7.
2—1 32...